Created by Simpo PDF Creator Pro (unregistered version)
http://www.simpopdf.com

# ხელშეკრულება № 25/4

ქ. თბილისი 15 მაისი 2012 წელი

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი, მისი მმართველის დავით დოიაშვილის სახით (შემდგომში – შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შპს "ქალამანი" (შემდგომში – მიმწოდებელი), ეხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## *1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი*

1.1 ხელშეკრულების საგანია თეატრისთვის ფეხსაცმელების (CPV – 18800000), მიწოდება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების საფუძველია 101 მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტი.

## *2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 95.00 (ოთხმოცდათხუთმეტი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯების (დ.დ.გ. და სხვა) გადასახადების ჩათვლით.

## *3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადები და ადგილი*

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 15 მაისიდან 2012 წლის 31 მაისამდე.

3.2. საქონლის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი უზრუნველყოფს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენას, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშფაქტურას ან/და სასაქონლო ზედნადებს ან მიღება ჩაბარების აქტს.

## *4. მიღება – ჩაბარების წესი*

4.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

4.2 შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს გამყიდველი;

4.3 მყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული შესყიდვების ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით;

## *5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის (საქონლის) ხარისხი.

-მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

-წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს საქონლის შემოწმების დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ.

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

-უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

Created by Simpo PDF Creator Pro (unregistered version)
http://www.simpopdf.com

5.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

-მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

-მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

-გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.

## *6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი დადების (გაფორმების) დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 მაისამდე.

## 7. ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, თუ მიყენებული ზარალი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორი) არსებობით. ასეთ გარემოებებად მიიჩნევა საბრძოლო მოქმედებები, სტიქიური უბედურება, სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები და ა.შ.

## 8. დასკვნითი დებულებები

8.1 "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" კონფიდენციალურად შეინახავენ წინამდებარე ხელშეკრულების შინაარს.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა სადავო საკითხი გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით;

8.3 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად; ორივე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

## *9. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

შემსყიდველი:

ს.ს.ი.პ თბილისის ვანო აბაშიძის სახელობის მუსიკალური

კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი

ს/კ 201948928

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №182

სს „საქართველოს ბანკი", კოდი: 220101502,

ა/ა 123361000

თეატრის მმართველი

დავით დოიაშვილი

მიმწოდებელი:

შპს "ქალამანი"

მისამართი: ქ.თბილისი,

ნაფარეულის ქუჩა

საიდენტიფიკაციო კოდი : 204515603

ტელ: 599. 55-03.65

„მიმწოდებელი"

დირექტორი

ხელმოწერა